რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 ივნისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის გაგ „რძიძ

გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ სვეტამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62

№ 66 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

სოც.-დემოკ. კლუბი მეხუთე სამილიციო ნაწილისა

მოთავსებულია პუშკინის საქალაქო სასწავლებელში, სურბ-სარქისის ქუჩა, აქვე შეიძლება პარტიაში ჩაწერა, გაზეთების გამოწერა და წიგნაკების შეძენა.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ კოოპერატიულ ჟურნალ

„კავშირზე"

(ორგანო ამიერ-კავკ. მომხმ. საზ. კავშირისა)

ჟურნალის ფასი: ამ წლის ბოლომდე ექვსი მანეთი, ცალკე ნომერი 20 კ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა ხუთშაბათს 7 ივნისს.

ფოსტის მისამართი: г. Тифлисъ, Крыловская ул. № 10, Закавказскому Союзу Потр. О-въ, для «Кавшири».

ადგილობრივ ხელის მომწერთათვის მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 68, კავშირის ინსტრუქტორთა განყოფილება.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს საარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის პროსპ.) ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას. დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

პირველი უბნის (ვერა) ქალაქის საარჩევნო კომისია

რ. ს.-დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციისა

სთხოვს ყველა ამხანაგებს და მოქალაქეებს, ვინც გამოტოვებულია და არ არიან ქალაქის საარჩევნო სიებში შეტანილნი, მობრძანდენ მექვსე ვაჟების გიმნაზიაში (უდილის ქ. № 3). სადაც დანიშნულია მორიგეობა ყოველდღე 5—7 საათამდე, და მოიტანონ თავიანთი გვარები, სახელები, მამის სახელები, ქუჩა და სახლის ნომერი და სახლის პატრონის გვარი, რომ შეტანილ იქნენ ქალაქის საარჩევნო სიაში.

მოწოდება

რაჭა-ლეჩხუმელთა მიმართ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა დემოკრატიულ ორგანიზაციების შექმნა და გაძლიერება. მათი საშუალებით შესაძლებელია რევოლიუციის გაღრმავება და მისი საბოლოოთ გამარჯვება. ამიტომ ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეებს, სადაც ნაკლებათ მოიპოვებიან, რევოლიუციის მებაირახტრენი და ხალხში შეგნების შემტანნი, ესაჭიროებათ გულ-შემატკივარნი და დამხმარენი. საჭიროა ასეთ კუთხეებს მიაქციოს ყურადღება შეგნებულმა ქალაქის რევოლიუციონურმა ელემენტებმა. რაჭა-ლეჩხუმიდან გლეხთა და მუშათა ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა, მოიწვიეს რა თფილისში მცხოვრებ რაჭა ლეჩხუმელთა კრება, აუწყეს ამ ორი მაზრის უმწეო მდგომარეობა. კრებამ საჭიროთ სცნო ქალაქიდან სოფლების დახმარება და აირჩია „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი" 15 პირისაგან შემდგარი, რომელმაც უნდა გაუწიოს სოფლებს დახმარება ფულით, ჟურნალ-გაზეთებით, რევოლიუციონური ლიტერატურის და შეგნებულ პროპაგანდისტების მიწოდებით.

რაჭველებო და ლეჩხუმელებო!

თუ თქვენ გაინტერესებთ რევოლიუციის გამარჯვება, დამფუძნებელ კრების არჩევნებში დემოკრატიის გამარჯვება და მშობლიური კუთხის გონებრივი წარმატება, დაგვეხმარეთ ფულით, ჟურნალ გაზეთებით, რევოლიუციონური ლიტერატურით და თქვენი გონივრული მოქმედებით, რათა ზემორე მოხსენებულ კომიტეტს საშუალება მიეცეს შეასრულოს პირნათლათ ხალხისა და რევოლიუციის წინაშე თავისი მოვალეობა.

შემოწირულება მიიღება:

1) თფილისის მე-3-ე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კანტორაში, ხაზინადარ ლავრენტი გოგოშიძესთან. (ვერის დაღმართი, გაბრიჩიძის სახლი № 21), 2) „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ზაქარია ბიჭაშვილთან. (პრიუტის ქუჩა № 4.) 3) ამავე კომიტეტის მდივნის მიხა გურგენიძესთან, (პუშკინის ქ., სასადილო „ოლიმპია" ბაღის პირდაპირ).

3—3 **რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი.**

ახალი კლუბის საზაფხულო შენობა.

შაბათს, 10 ივნისს სოც.-დემოკ. გაზ. „ალიონის" ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება

დიდი საღამო

წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი ვასო და ტასო აბაშიძენი და სხვ. სიმღერის პროფ. **რიანდოვის** სტუდია. საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:

1 განყ. ქართ. წარმ. „რაც არ მერგება, არ შემერგება" ვოდ. 1 მოქ.

2 განყ. ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნება სხვადასხვა სამუსიკო ნომრები სტუდიის მოწაფეთაგან.

3 განყ. აღმოსავლეთური ცეკვა.

საღამოსთვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტები, პოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და დუდუკი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ბილეთები ამ თავითვე ისყიდება „ალიონის" რედაქციაში.

საღამოს გამგე ანნა ქავთარაძისა,

ქ-ცია ელენტე შვილებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ რვა ამა თვეს დ. [illegible] ეკლესიაზე გადახდილი იქნება მეორმოცე დღის წირვა-პანაშვიდი

ტერეზია გრიგოლის ასულის ელენტის

სულის მოსახსენებლად.

გთხოვთ დილით მობრძანდეთ საკუთარ სახლში.

დეპუტატი აკაკი ჩხენკელი

აცხადებს, რომ ის ბინაზე კერძო საქმეებისათვის არავის იღებს. დეპუტატი სთხოვს ყველას ნუ მიმართავენ მას პირადულ საქმეებისათვის (ადგილზე დანიშვნა, გადაყვანა და სხვა).

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

ჭრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასთვის. ღარიბები მუქთათ. აქვე მიიღება შეკვეთები კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—1)

შაბათს, 10 ივნისს საღამოს 7 საათზე მოხდება პირველი

საერთო კრება

ვერცხლეულობის, საათების, საიუველირო მაღაზიების მუშების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 18).

დღის წესრიგი: 1) პროფესიონალურ კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობაზე, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 4) სხვადასხვა საქმეები. ამხანაგებს გთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

3—1

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის კუთხეში 25—22. ტელ. 13—40.

სამტრედიის სადგურის ბაქანზე ნაპოვნია

ოქროს საათი.

პატრონს შეუძლია მიაკითხოს რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს **გრიშა ურუშაძეს**, რომელთანაც ინახება საათი. (3—2)

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქუნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორიის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიიზდის ქუჩა, № 19.

გ. გ. მეჯრაჯიანი

შინაგან ავათმყოფობა ქალებისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახსნილა და წამლობა ხსენებით. აგრეთვე ყველანაირ ქალების წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible]—ტოკით. დიდი [illegible] ბირები და [illegible] ავადმყოფობისათვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისათვის და აგრეთვე მაგარის [illegible], სისხლ ნაკლებობის, [illegible], ნევრასთენიისათვის. [illegible] ავათმყოფობისა, მუცლისა, და რევმატიზმისათვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ქალაქის საბჭოს არჩევნები და სასურსათო საკითხი.

მოქალაქენო! ახლოვდება ქალაქის საბჭოს არჩევნები. ახალ საბჭოს აირჩევენ არა ერთი მუჭა სახლის პატრონები და ვაჭრები, არამედ ყველა მოქალაქენი. სერიოზულათ მოეპყარით არჩევნებს!

ერთი საყურადღებო საკითხთაგანი, რომლის მოგვარებასაც ხელი უნდა მიჰყოს ახალმა საბჭომ,—ეს ქალაქის მცხოვრებთა სასურსათო საგნებით უზრუნველყოფაა.

ყველა იმათი ცხოვრება, ვისაც ბანკებში დიდძალი ფული არა აქვს შენახული, დღითი დღე აუტანელი ხდება. ყოველ დღე მატულობს ფასები—სასმელ საჭმელზე, ტანისამოსზე, ფეხსაცმელზე—ერთი სიტყვით, მოთხოვნილებათა აუცილებელ საჭიროების საგნებზე.

რა არის ამის მიზეზი? რა თქმა უნდა, ეს საერთო პირობების ბრალია, რაიც ომმა გამოიწვია—ფულის ფასის დაცემამ, რკინის გზის, გადატან გადმოტანის არევ-დარევამ და სხვა.

მაგრამ ისმება კითხვა: შესაძლებელია თუ არა არსებულ პირობებში სიძვირესთან ბრძოლა? შესაძლებელია თუ არა ისე მოეწყოს საქმე, რომ დღევანდელი აუტანელი ცხოვრება ცოტათი შევუმსუბუქოთ ღარიბ ხალხს?

ყველა ეს შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ხალხისთვის სურსათის მიწოდების საქმეს განაგებდეს ხალხისავე ნამდვილი წარმომადგენლები და არა მდიდართა ერთი მუჭას მიერ არჩეული პირები, როგორც ეს დღემდე იყო.

რა უნდა ვაკეთოთ, რომ სურსათის მიწოდების საქმე მოვაწყოთ? ამისთვის თავდაპირველად საჭიროა, რომ ქალაქის საბჭოს უფლება ჰქონდეს ადგილობრივ საჭიროებათა ფარგლებში თვითონ აწესებდეს ქალაქში შემოტანილ სასურსათო საგნებს. ქალაქის საბჭომაც უნდა იზრუნოს, რათა სურსათი ქალაქში თანასწორად იქნას განაწილებული. არ უნდა ეძლეოდეს ერთს ბევრი, მეორეს—ცოტა. ამისთვის ქალაქის საბჭომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ გაიგოს—რამდენია ქალაქში სურსათი. თუ ვინმეს აღმოაჩნდება დიდძალი შენახული სურსათი, ის მას უნდა ჩამოერთვას და მცხოვრებთ გაუნაწილდეს.

მაგრამ ესეც არ კმარა.

უნდა ვიზრუნოთ იმის შესახებაც, რათა მცხოვრებთ შეეძლოთ ხელმისაწვდომ ფასებში სურსათის შეძენა. ამისათვის საჭიროა ყოველ საგანზე შესაფერი ნიხრის დაწესება და მასთან თვალყურის დევნება, რომ ეს მიყვანილი იქნას სისრულეში. ყველაზე უკეთესი იქნება თუ პირველ საჭიროებათა საგნების გაყიდვის საქმეს თვით ქალაქი მოაწყობს საქალაქო დუქნების საშუალებით. ეს საქმე ქალაქმა არ უნდა დასთმოს ვაჭრების ხელში. საქალაქო დუქნების მოწყობით ვაჭრების აღვირახსნილობას საზღვარი დაედება. თუ საქონელს არ გააიაფებენ, მათგან არავინ არაფერს შეიძენს.

სად შეუძლია ქალაქის საბჭოს სურსათის შოვნა? მან უნდა იზრუნოს დიდძალი საქონლის ერთბაშად შეძენის შესახებ იმ ადგილებში, სადაც შედარებითი იაფობაა.

მაგრამ სასურსათო საგნების ყიდვით და მისი განაწილებით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს ქალაქის საბჭოს მუშაობა. მან უნდა იზრუნოს აგრეთვე **წარმოების** მოწყობაზე, სადაც ნაჭირო საგნებს დაამზადებენ, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარათ. ქალაქის საბჭომ უნდა მოაწყოს ბოსტნები, საძოვე ფერმები, ფურნეები, სასადილოები და სხ. ახლაც არსებობენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც მცხოვრებთ სურსათის ნაკლებობით გამოწვეულ გაჭირვებას უმსუბუქებენ. ეს ორგანიზაცია კოოპერატივებია. ქალაქის საბჭომ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს კოოპერატივების განვითარებას. რატომ ასე ცოტა გააკეთა ძველმა ქალაქის საბჭომ სასურსათო საკითხის საქმეში? იმიტომ, რომ ძველ საბჭოში მრეწველების და ვაჭრების წარმომადგენლები მეთაურობდენ. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ზომების განხორციელება მათთვის სასარგებლო არ იყო, ეს მათ ჯიბეებს ემუქრებოდა.

ვის შეუძლია ყოველივე ასეთი ზომების ცხოვრებაში გასატარებლათ ზრუნვა?

მხოლოდ სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას.

თფილისის მუშათა კლასი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას მისდევს.

მოქალაქენო! თუ გსურთ, რომ სასურსათო საკითხის გადაჭრის საქმე სწორ გზაზე იქნას დაყენებული,—აირჩიეთ სოციალ დემოკრატები! ეცადეთ, რომ სოციალდემოკრატების უმრავლესობა იქნას არჩეული ქალაქის საბჭოში. მხოლოდ მაშინ შეეძლებათ მათ მთელი საქალაქო მეურნეობის ხელში აღება.

მუშები ხმას მისცემენ სოციალ-დემოკრატებს. მათთან ერთად თქვენც ღარიბნო, ხელმოკლე მცხოვრებნო, ერთი სიტყვით ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის ინტერესები ხმა მიეცით სოციალდემოკრატებს.

სოციალ დემოკრატია ერთად ერთი ჭეშმარიტი დამცველია ხალხის ინტერესებისა.

მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს!

გაუმარჯოს რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება.

რევოლიუციის გამოძახილი.

ავსტრიის სამინისტრო კრიზისს განიცდის. დეპეშათა ცნობით უნგრეთის პრემიერ მინისტრმა ესტერგაზიმ იმპერატორ კარლს მინისტრთა ახალი სია წარუდგინა. სამინისტრო კოალიციონური იქნება. მასში მონაწილეობას იღებენ ყველა ოპოზიციონერების წარმომადგენლები. ეჭვს გარეშეა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ავსტრიაზე გავლენა იქონია.

რუსეთის განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ 1905 წელსაც დიდათ შეარყია ავსტრიის შეუზღუდველი ბატონობა. იმპერატორი იძულებული გახდა ავსტრიის ხალხისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლება მიეცა.

დღესაც დიდი რევოლიუცია ცენტრალურ სახელმწიფოებში ხალხის მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას იწვევს. ხალხი თავისი მართველ წრეების წინააღმდეგ ირაზმება. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ავსტრიის მუშათა კლასს მოეხსნა ის რკინის ბორკილები, რომელიც მას ამ საერთაშორისო ომის განმავლობაში იმპერატორის მთავრობამ დაადო.

თითქმის სამი წლის განმავლობაში ავსტრიის მუშათა კლასს მოესპო კრებების, სიტყვის და პრესის თავისუფლება; ამავე ხნის განმავლობაში ავსტრიის პარლამენტის კარები ხალხის წარმომადგენლებისათვის დახშული და იგი თითქმის სამი წელიწადია დაკეტილი იყო. ფრიდრიხ ადლერი—ეს სოციალ დემოკრატების უდიდესი თეორეტიკოსი, ხელში იარაღს იღებს და მთავრობის ასეთ ბარბაროსობას ტერორით უპასუხებს. მაგრამ მის ასეთ გამოსვლას ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. პირიქით ძველი მტარვალობა უფრო გაცხოველდა.

მხოლოდ რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ ავსტრიის საზოგადოებრივი ურთიერთობა შეირყა და მთავრობაც იძულებული გახდა ხანგრძლივათ დახურული პარლამენტი გაეხსნა. რუსეთის რევოლიუციის ზეგავლენით იქაურმა დემოკრატიამ რამოდენიმეთ თავისუფლება მოიპოვა და ზავის შესახებ თამამათ დაიწყეს ლაპარაკი. ავსტრია-უნგრეთის სოციალისტებმა სტოკჰოლმის მომავალ სოციალისტურ სამშვიდობო კონფერენციაზე თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს და ისინიც მხარს უჭერენ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მიერ წამოყენებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს—ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით. დღეს იქ დემოკრატიის დარაზმვა დღითი-დღე ფართო ნაბიჯით ხდება, და მთავრობაც დათმობის გზას დაადგა. ხალხის უძლიერესი ჯალათი, ავსტრიის მონარქია დღეს ახალ სამინისტროს შედგენას შესდგომია და შიგ მემარცხენების შეყვანას აპირებს. რუსეთის რევოლიუციის ზედგავლენით ავსტრიის აბსოლიუტიზმი ისეთ ნაბიჯების გადადგმას აპირებს, რომელიც მას აქამდის ფიქრათაც არ მოუვიდოდა. მაგრამ დღეს მდგომარეობა არსებითათ შეიცვალა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საერთაშორისო დემოკრატია გამოაღვიძა, ინტერნაციონალური სოლიდარობა ძლიერდება.

წინეთ თუ რუსეთის დემოკრატიის გამოღვიძებას ხელს უწყობდა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ამოძრავება, დღეს მდგომარეობა შეიცვალა და რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მთელი ევროპის მუშათა კლასი აამოძრავა. ჩრდილოეთის ნიავმა მედგრად დაბერა დასავლეთისაკენ და ყველაზე ადრე ეს გამომაფხიზლებელი სიო ავსტრიას მოხვდა. ავსტრიის მუშათა კლასი იმპერიალისტთა და მონარქიული ზღუდეებიდან თავს ინთავისუფლებს და თავისი მთავრობის წინააღმდეგ უშიშრათ გამოდის. უკანასკნელიც კომპრომისის გზას ადგება, მაგრამ ამაოთ. ადრე თუ გვიან ავსტრიის პროლეტარიატიც დაირაზმება და ტახტს სამუდამოთ დაამსხვრევს.

ორი ტაქტიკა.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტათ საინტერესო გამოდგა. აქ ერთი მეორეს დაუპირისპირდა ორი ტაქტიკა: ანარქისტულ-მაქსიმალისტური და სოციალ-დემოკრატიული.

პირველის დამცველია ლენინი. ის მოითხოვს დაუყონებლივ მთელი წარმოების დეპატრონებას და სოციალიზმის განხორციელებას. ამ მიზნით ის ემხრობა დღესვე მიწის კონფისკაციას, სახელმწიფო ძალა-უფლების სოციალისტების მიერ ხელში ჩაგდებას, ხოლო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დატუსაღებას. ძლიერი კლასის ცხით დატუქსვას ლამობს. რუსეთის რევოლიუციაში იაკობინელთა და ბლანკისტთა ტაქტიკას აწარმოებენ.

ყრილობამ ლენინთა გზა გადაჭრით დაგმო. სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის დამცველათ გამოვიდა სახელოვანი კაკი წერეთელი, ახლანდელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი და მას გვერდში ამოუდგენ სხვა მრავალი ცნობილი რევოლიუციონერები. რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიას ისინი რევოლიუციონურ საქმეს უპირდაპირებენ. ლენინი რევოლიუციის დაქსაქსვას და რეაქციონერთა გაძლიერებას ნიადაგს უმზადებს. მართლაც, მიიღეთ ლენინთა ტაქტიკა და ყველგან ანარქია გამეფდება. აკი ლენინი სიამოვნებით ეგებება კრონშტატის ამბებს. ახლავე შეუდექით მემამულეთა და საეკლესიო—სახაზინო ადგილ მამულის ხელში ჩაგდებას, და ეჭვს გარეშეა, გლეხკაცობა ერთი მეორის წინააღმდეგ დაირაზმება და ამ გზით რევოლიუცია დასამარდება. ლენინი დემოკრატიის დამარცხებას ემსახურება ამიტომაც არის მის წინააღმდეგ ამჟამათ მთელი რევოლიუციონური დემოკრატია გამოდის.

სრულიად რუსეთის ყრილობაზე ლენინი განაცალკევეს. ეს საუკეთესო თავდებია ანარქისტული ტაქტიკის უარყოფისა და მით რევოლიუციის გაძლიერების.

ამხ. ალ. (საშა) წულუკიძის საფლავზე.

დღეს, 8 ივნისს შესრულდა 12 წელიწადი, რაც წუთის სოფელს გამოესალმა ამხ. საშა წულუკიძე.

საშა წულუკიძე თვალსაჩინო პიროვნება იყო ჩვენ პარტიაში და ამიტომ მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილები ბევრ მის ამხანაგს დღესაც არ მოშუშებია.

საკმაოთ მომზადებული, მიმზიდველი ტემპერამენტით დაჯილდოვებული ის ხიბლავდა მსმენელთ და აღთქმულ ქვეყნისაკენ მოუწოდებდა ყველას.

იმ დროსაც კი, როდესაც ულმობელმა სენმა მძლავრათ ჩასჭიდა მას თავისი ბასრი კლანჭები და უკანასკნელ დღეებში ჩააყენა ძვირფასი ამხანაგი—საშა იძახდა **იდეია გაიმარჯვებსო**.

ამ რწმენით ჩავიდა ის სამარეში და მისმა ამხანაგებმაც პირ ღია სამარის წინ განიმეორეს საშას რწმენა და აღთქმა დასდეს: გამარჯვების დღეს მალე მოვილოცავთო.

რომ იდეია გაიმარჯვებდა სწამდა საშას, სწამდა ყველა მის თანამოაზრეთ და ყველანი თავგანწირვით მუშაობდნენ: მოელოდნენ ბედნიერ, თავისუფალ დღეს.

და ეს დღე უკვე დადგა. იდეიამ უკვე გაიმარჯვა. საშას არა ერთხელ მიულოცეს ხონელმა ამხანაგებმა გამარჯვება და დღესაც მის სამარეზე სამოქალაქო პანაშვიდს აწყობენ. სალამი ძვირფას საფლავს. სალამი იმათაც—ვინც არ ივიწყებს მებრძოლ ამხანაგის ხსოვნას.

ილ. რუხაძე.

პრესა.

„თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უწყებები“ ეხება რა გერმანიის მთავრობის მეცადინეობას, რათა სეპარატიული ზავი შეჰკრას რუსეთთან, სწერს:

„ასეთი ზავი თავისუფალი მოქმედების ნებას მისცემს გერმანიას დასავლეთ ფრონტზე. მთელ თავის ძალ-ღონეს ის ინგლის-საფრანგეთის გასანადგურებლათ მიმართავს. გერმანიის იმპერიალისტებისათვის უპირველეს საკითხს შეადგენს ამ ჟამათ ერთ რომელიმე ფრონტზე გამარჯვება. ომის გაგრძელება კიდევ—ეს მათ მიერ სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერაა, ვინაიდან, ყოველ დღე, ყოველ საათში ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მცხოვრებთა შორის ვრცელდება და ფეხს იკიდებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცნობილი მოწოდება მთელი ქვეყნის ხალხთადმი. ყოველ დღე ხმა მაღლა და გარკვევით ჯაისმის საერთაშორისო დემოკრატიის მოთხოვნა: „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო“. მთელი ქვეყნის ხალხთადმი მოწოდება, რომ ჩამოაგდონ თავიანთი მთავრობები,—მთელი ქვეყნის მშრომელთა გულში თანაგრძნობის გამოძახილს ჰპოულობს“.

რუსეთის დემოკრატია საერთაშორისო დემოკრატიის საქმეს არ უღალატებს და გერმანიის იმპერიალისტებთან სეპარატიულ ზავს არ შეჰკრავს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 4—5 ივნისი).

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა დელეგატების სრულიად რუსეთის ყრილობა.

პეტროგრადი. კერენსკი მიუთითებს საფრანგეთის რევოლიუციაზე და რუსეთის 1905 წელზე და აფრთხილებს ისტორიული შეცდომები არ ჩაიდინონ. უნდა შევინარჩუნოთ, გავამაგროთ მოპოვებული თავისუფლება, რათა ლენინი არ გაიქცეს შვეიცარიაში. ლენინი წინადადებას გვაძლევს უკიდურესი საშვალებები ვიხმაროთ—ასეთ ბავშურ ზომებს მარქსიზმი არ ქადაგებს. (ცხარე ტაშის ცემა) ასეთ კაცს არ შეიძლება სოციალისტი ვუწოდოთ,—კლასობრივი ბრძოლა მას პირად ნიადაგზე გადააქვს,—რომლის საწარმოებლათ აზიელი მტარვალთა რეცეპტით სარგებლობს. კაპიტალიზმს საქვეყნო ხასიათი აქვს. ჩვენ კი, წინადადებას გვაძლევენ მოვსპოთ ის კერძო პირთა დაპატიმრებით. ოდესღაც „ნაროდნიკებს“ უტოპისტებს, წვრილ ბურჟუებს ეძახდენ, ახლა მე თქვენვე მოგმართავთ ამ ზედმეტი სახელწოდებით. თქვენ ბრძოლის ისეთ საშვალებებს ქადაგებთ, რაც მარქსიზმის მიერ დაგმობილია. დააპატიმრე, დაანგრიე, მოჰკალი აი, თქვენი ბრძოლა. რანი ხართ თქვენ? სოციალისტები, თუ ძველი რეჟიმის „დერჟიმორდები“. (ხმაურობა და მოძრაობაა, „ბოლშევიკები“ ღელავენ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ სიტყვა „დერჟიმორდა“ მას მიაჩნია ლიტერატურულ, პარლამენტარულ სიტყვათ). კერენსკი ამბობს, რომ ამ კრებაზე ყველაფერის თქმა შეიძლება. ჩვენ მოგვყვება მასსა. რომელიც განვითარების დაბალ საფეხურზე სდგას, მაგრამ მაინც ცოტათ თუ ბევრათ ერკვევა საკითხებში და ამას შეითვისებს როგორც ლოზუნგს. ეს ხალხი გაჰყვება ამ ლოზუნგს, მათთვის ვლაპარაკობ მე. არ არის მართალი ის, თითქო მე ფინლიანდიას და უკრაინას ვებრძოდე, მაგრამ ჩვენ ხომ თვითმპყრობელები არა ვართ, რომ რუსეთის ტერიტორიის ნაწილი დამოუკიდებლათ გამოვაცხადოთ. (ცხარე ტაშის ცემა). თქვენ წინადადებას იძლევით ჯარის დამობილებას ხელი შეუწყოთ, მაგრამ ხომ იცით,—ეს თქვენი წინადადება გერმანიის ჯარის შტაბის სურვილებს ეთანხმება. ჩვენ უნდა დავანახოთ ინტერნაციონალიზმს, რომ ჩვენში ნების სიმტკიცეა და ჩვენ არ ვგევართ სხვადასხვა მხარეზე გაფანტულ ცხვრის ფარას. მოვიარე რა ფრონტი, სიხარულით ვამოწმებ, რომ ჯარში არსებული ყველა ორგანიზაციები ჩემის აზრისანი არიან (კრება მას ოვაციას უმართავს).

დაჰქრა დასჯით კი არა, არამედ—სიტყვით, შთაგონებით, ერთი სიტყვით, დემოკრატიის საღი აზრის და შემოქმედების ინსტიქტის რწმენით შეიქმნა ახალი ჯარი, რომელიც მოგვცემს მშვიდობიანობას, თავისუფლებას და თანასწორობას. მე არასოდეს არ ამიკრძალავს თქვენი პროპაგანდა. იმ ჯარისკაცმა, რომლის შესახებაც მე განკარგულება გავეცი ჯარიდან დაეთხოვათ, შემდეგ მთხოვა ჯარში დამეტოვებინა ის. მე 12 კორპუსში, როცა ვიკითხე: ვინ არის დამმობილების მომხრე მეთქი—1,900 კაცში არც ერთი არ გამოჩნდა. (ხმები: შეეშინდათ) კერენსკი უპასუხებს: შეეშინდათ იმიტომ, რომ როცა ჩვენ რევოლიუციისათვის მთავრობა კატორღაში, სასიკვდილოთ გვგზავნიდა, ჩვენ მისი არ გვეშინოდა (ხმაურობა, ყვირილი, ტაში). მე მოხსენებას არ ვაკეთებ. მე მინისტრი ვარ, ამას გარდა კიდევ რევოლიუციონერი, რუსეთის დემოკრატიის ძველი მეგობარი. მე მოვედი თქვენთან მეთქვა, თუ რას განვიცდიდი, რასა ვგრძნობდი, მეთქვა ყოველივე სიმართლე,—ამის შემდეგ თქვენ გამასამართლეთ.

ლუნაჩარსკი წინადადებას აძლევს გაუქმდეს სახელმწიფო დუმა და საბჭო და ყრილობამ აირჩიოს პარლამენტი. **სკობელევი** ირონიით იხსენიებს ლენინის და ლუნაჩარსკის სოციალიზმს და მარქსიზმს და კითხვას იძლევა: რით შევცვალოთ დატყვევებული კაპიტალიზმი როცა სოციალიზმი ჯერ არ არის. დაბოლოს ის არკვევს დროებითი მთავრობის საფინანსო-საეკონომიო საკითხებს.

პეტროგრადი. 3 ივნისის კრებაზე გრიმის რუსეთიდან გაძევების შესახებ განაცხადა: რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ამ ყრილობაზე პირველად წარსდგა მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც ორგანიზაციულათ მოწყობილი ძალა. და აი, ასეთ დიდებულ დროს ევროპაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის რევოლიუციამ უდიერათ გაისროლა, მშვიდობიანობისთვის ერთი უპირველესი მედგარი მებრძოლი, მთელს ევროპაში საუკეთესო ინტერნაციონალისტი. ის მშრომელი მასა, რომელიც სიხარულით შეეგება მთელი ქვეყნისადმი მოწოდებას იქ ყვიან: „იმათ არ იციან რას იქმენ“, როცა რუსეთში პირველათ დაიქუხა რევოლიუციამ გრიმმა მოინდომა რუსეთში წასვლა. მილიუკოვმა განაცხადა, რომ ის გრიმს ვერ შეუშვებს რუსეთში, რადგან მილიუკოვის საიდუმლო ცნობებით გრიმმი გერმანიის აგენტია. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ფრიად აღელვა ასეთმა განცხადებამ, მაგრამ გაკვეთებით კი ვერაფერი გააკეთეს. მილიუკოვის დაცემის შემდეგ რუსეთში ჰელსინგფორსის დეპუტატთა საბჭოს წინადადებით გრიმი შემოუშვა. ეხლა კი დროებითმა მთავრობამ გრიმის მოქმედება არა სასურველათ სცნო და დაადგინა მისი რუსეთიდან გაძევება. დროებითმა მთავრობამ უთუოთ იცოდა, რომ მუშათა კლასის ყოველ კონგრესზე მუდამ აყენებდენ ამ მოთხოვნას, ბოლო მოეღოთ იმ მდგომარეობას, რომლითაც უცხოელს სრულიად უუფლებო პიროვნებათ სთვლიან, მას ისე ექცეოდენ როგორც უნდოდათ: შეეძლო მისი საზღვარ გარეთ გაძევება, იმ მოქმედებისთვის, რომლისთვისაც ადგილობრივ მოქალაქეს სამართალში მისცემდენ და მას საშუალება ექნებოდა თავის მართლების. მარტოვი ამბობს, გრიმი მარტო იმიტომ გაძევეს, რომ მისმა განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა მინისტრი-სოციალისტები. მარტოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როცა მარტოვმა და აქსელროდმა მიმართეს მინისტრ სოციალისტებს რას ფიქრობენ იგინი გრიმის პასუხის შესახებ, მათ უპასუხეს, რომ გრიმის პასუხი დამაკმაყოფილებელია და დროებით მთავრობას არავითარი საბუთი არა აქვს წინააღმდეგ სცნოს ის. მინისტრ სოციალისტებმა დასასრულ ამბობს—არ მოისურვეს ასეთ სერიოზულ საკითხის გადაწყვეტის დროს შეკითხებოდენ თავის პარტიას, ან აღმასრულებელ კომიტეტს და ამ გვარათ თვითონ გადასწყვიტეს და ამ გადაწყვეტილებაში იმ ორგანიზაციას, რომელმაც იგინი დროებით მთავრობაში გაგზავნა არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

მინისტრი წერეთელი ეხება საქმის ფაქტიურ მხარეს და აცხადებს, რომ გრიმი შემოუშვეს რუსეთში ერთი მხრით რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის დაჟინებითი მოთხოვნით, ხოლო მეორე მხრით სკობელევის და წერეთლის თავდებობით. ჩვენ ვამბობდით, რომ შვეიცარიის დემოკრატიის ბელადს, რომელმაც პირველათ ააფრიალა მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, რომელიც აგრეთვე იწვევა თავის მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციონურ ბრძოლას, უფლება აქვს გადმოვიდეს რევოლიუციონურ რუსეთის ტერიტორიაზე, როცა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა რევოლიუციონურ რუსეთის საგნათ გახდა. რუსეთში ყოფნის დროს გრიმმი მუდამ იმ იდეებს ჰქადაგებდა, რომლებიც სწამდა. ჩვენ კარგათ გვახსოვს იმ კონგრესების დადგენილება, რომლებზედაც მარტოვი გვითითებს და არა თუ გვახსოვდა ცხოვრებაშიაც ვატარებდით. ერთი კვირის წინათ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი შეგვეკითხა კიდევ ვთავდებობთ თუ არა ჩვენ გრიმს, ჩვენ უპასუხეთ, რომ ვთავდებობთ. მაშინ მინისტრმა წარმოგვიდგინა დღეს გამოქვეყნებული საბუთი. ჩვენ, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით რომ ეს საბუთი გადაჭრით ამტკიცებდა გრიმის დანაშაულობას, ჩვენ განმარტებასაც არ მოვსთხოვდით გრიმს, ისე გადავწყვეტდით საკითხს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ საბუთში ასეთი არაფერი იყო, გადავწყვიტეთ შევკითხებოდით გრიმს და პირველათ ჩვენ აზრათ არ გვქონდა ამ საბუთის არც გამოქვეყნება და არც წარდგენა. ჩვენ მივმართეთ გრიმს მარტოვის პირით და შევეკითხეთ იმ გავრცელებულ ხმების შესახებ, რომლებითაც მას აბრალებდენ გერმანიის მთავრობასთან რაღაც დამოკიდებულებას ჩვენ წინადადება მივეცით გრიმს, თუ შესაძლებელი იყო კატეგორიულათ გამოეცხადებია, რომ მებრძოლ მხარეს მიერ ბრძოლის ასეთი მეთოდი პროვოკაციაა. როცა სამშვიდობო კონფერენცია უნდათ იმპერიალისტურ მიზნების განსახორციელებლათ გამოიყენონ და ამასთანავე ეთქვა-რა განზრახვა ჰქონდა შვეიცარიაში გერმანიის ელჩს. გრიმმა ამაზე ისეთი არა დამაკმაყოფილებელი პასუხი მოგვცა, რომ ჩვენ საჭიროთ დავინახეთ საბუთი წარგვედგინა. ჩვენ ვუთხარით გრიმმს—უკეთუ გერმანიის ან შვეიცარიის მთავრობას განზრახვა აქვს ნდობა დაგიკარგოთ თქვენ, საქვეყნოთ გამოაცხადეთ, რომ მოქმედი ის ასეთი საშუალება გერმანიის მთავრობის მიერ საზიზღარი პროვოკაციაა და ამ საქმეში შვეიცარიის მინისტრის მოქმედება პროვოკაციის ხელის შეწყობა. (ტაში). წერეთელი დაწვრილებით შეეხო გრიმმის განმარტებას და ხაზი გაუსვა იმ ადგილს, რომელმაც ყველაზე მეტათ ვერ დააკმაყოფილა ის, ეს არის გერმანიის საელჩოში მისვლა.

ჭეშმარიტებასთან ახლოა—ამბობს წერეთელი—რომ გრიმი აქ ისე არ იქცევა როგორც უნდა ე. ი. არ ამტყუნებს მათ, რომელთაც ასეთი განზრახვა ჰქონდათ, არ გვეუბნება რამდენათ არის ის აღშფოთებული ბრძოლის ამგვარ მეთოდით, როცა სოციალისტებს აკისრებენ იმპერიალისტურ მიზნების ლაქიის როლს. შემდეგ შვეიცარიის მთავრობის ამ საქმეში მონაწილეობის შესახებ გრიმი აცხადებს, რომ ამას გამოარკვევს მაშინ, როცა სახლში დაბრუნდება და ხელის მოწერას შეამოწმებს ადგილობრივ. ეს ხელის მოწერა კი საკმარისათ აშკარაა და შემოწმებას არც კი საჭიროებს. როცა გოფმანმა გამოგზავნა ასეთი საბუთი, აშკარაა მას თავისთვის კი არა გერმანიის მთავრობის სასარგებლოთ უნდა გამოეყენებია გრიმმა. ცხადია გრიმმა ის სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას. რუსეთის რევოლიუციას ერთ წუთს არ შეუძლია ნება მისცეს, რომ მის მფარველობის ქვეშ და მის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს ისეთი კაცი, რომელიც ბედავს აშკარათ უარჰყოს თავისი და ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს იმპერიალისტური საშუალებები იმ დროს, როცა მას ეს მთავრობები თავზე ახვევენ აგენტ-პროვოკატორის როლს. აი რატომ არ დაგვაკმაყოფილა ჩვენ გრიმის განმარტებამ.

იტალიის მთავრობის ნოტა.

პეტროგრადი. გამოქვეყნებულია იტალიის საგარეო მინისტრის ნოტა რუსეთის საგარეო მინისტრის სახელზე, 26 აპრილს 1917 წლის თარიღით. ნოტაში ნათქვამია შემდეგი: „სიამოვნებით გაეცნო რა მეფის მთავრობა რუსეთის მთავრობის განცხადებას, სახეში ღებულობს, რომ რუსეთმა გადასწყვიტა, ყოველივე ღონე იხმაროს სამშობლო ტერიტორიის განსათავისუფლებლათ, აღადგინოს პოლონეთი სრულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, დაამყაროს მოკავშირეებთან სრული თანხმობა, რაც რუსეთის მომავალი ზრდა-განვითარების ძვირფასი თავდები იქნება. ამ პირობებში რუსეთი მიზანს მიაღწევს—მშვიდობიანობას მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის; თავის მხრით იტალიაც იმ მიზნით ჩაერია ომში, რომ ხელი შეუწყოს ხალხთა განთავისუფლებას და უზრუნველ ჰყოს თავისი დამოუკიდებლობა.

სასამართლოების თანამდებობის პირთა ყრილობა.

პეტროგრადი. 5 ივნისს გაიხსნა სენატორების, ობერ-პროკურორების, უფროს თავმჯდომარეების, ნაფიც ვექილთა საბჭოების წარმომადგენლების და სამოსამართლო პალატათა პროკურორების ყრილობა. თავმჯდომარეობს პერევერზევი. მისალმების სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ყრილობამ განიხილა საკითხი სასამართლოდან იმ პირთა გაძევების შესახებ, რომლებმაც როგორც ძველი მთავრობის ერთგულმა მოსამსახურეებმა ხალხის თვალში ნდობა დაჰკარგეს. კამათის დროს წინადადება შეიტანეს დაარსდეს სენატთან უმაღლესი დისციპლინარული სასამართლო, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების და სასამართლო დაწესებულების წარმომადგენელნი—რადგან გვიანი იყო კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა მეორე დღისთვის გადაიდო.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, როგორც დროებითი ზომა, აკრძალოს საზღვარ გარეთ ფულების გადაგზავნა ან საზღვარ გარეთ მყოფ პირთა სახელზე ბანკში ფულის შეტანა ფინანსთა სამინისტროსაგან ნება დაურთველათ. ფინანსთა მინისტრს დაევალა საზღვარ გარეთის ვალიუტის შესახებ ცალკე განყოფილება დაარსოს.

ინგლისელთა ჯარში გაწვევა.

ნიუ იორკი—შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ბრიტანელ ქვეშევრდომთ 18—45 წლამდე ინგლისელთა ჯარში გაიწვევენ.

საზოგადოებრივ პოლიტიკური განყოფილება.

პეტროგრადი. ჯარისკაცთა ორგანიზაციებთან მჭიდროთ შესაკავშირებლათ და მათი მოქმედების გასაერთიანებლათ სამხედრო სამინისტროსთან არსდება ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილება.

გადასახადების გადიდება.

პეტროგრადი. ფინანსთა მინისტრის შინგარიოვის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი პირდაპირ გადასახადების რეფორმების შესახებ. განზრახვა აქვთ შემოსავლის კვალობაზე გადასახადი გაადიდონ. კერძოთ ვისაც 40,000 მან. მეტი შემოსავალი აქვს, წინანდელ 12 ნახ. პროცენტის მაგიერ გადაიხდიან 30 პროც., საომარ დრო ზედმეტ მოგებისგან აიღებენ 60—90 პროც.

დამფუძნებელ კრების არჩევნების თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო პროექტის შემუშავების შესახებ საგანგებო თათბირმა განიხილა საკითხი კანდიდატების სიების შესახებ. კენჭის ყრით დებულობენ შეკრულ სიების სისტემას. კენჭის ყრითვე დებულობენ კანდიდატთა სიის შემდეგ ტეზისებს. არჩევნებამდე 30 დღის წინათ საგუბერნიო საარჩევნო კომისიას წარედგინება ასარჩევ კანდიდატების სია და მათი განცხადება, რომ თანახმანი არიან კენჭი იყარონ. თვითეულ სიას ხელს უნდა აწერდეს არა ნაკლებ 100 ამომრჩეველისა, წარმოდგენის დაგვარათ სიებს ნომრებს ასვამენ და აცხადებენ 23 დღით არჩევნების წინ. ერთი და იგივე კანდიდატის ერთ ოლქში რამდენიმე ადგილას სიაში შეტანა არ შეიძლება. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წამოაყენონ რამდენიმე სხვადასხვა ოლქებში, მაგრამ ხუთზე მეტში კი არა. შემდეგ განიხილეს საკითხი, რომელი სისტემით იხელმძღვანელონ არჩევნების დროს ფრანკფურტის თუ დონტის. ხმის უმეტესობით მიიღეს დონტის სისტემა.

დეპუტატთა საბჭოების ყრილობა.

პეტროგრადი. მესამე დღე. თავმჯდომარეობს ჩხეიძე, ყრილობას მოხსენდა ამიერ კავკასიის ყრილობის და ბალტიის ფლოტის სალამი. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მიწათ მოქმედების მინისტრმა ჩერნოვმა: „რუსეთის რევოლიუციის ტრაღიკული მდგომარეობა—ამბობს ორატორი—იმ წინააღმდეგობაში გამოიხატება, რომელშიაც იმყოფება რუსეთი ევროპაში შექმნილ მდგომარეობის გამო, რუსეთი ომის რკალშია გახლართული. შიგნით რუსეთში რევოლიუციის გამარჯვება პოლიტიკური მხრით მკვიდრ ნიადაგზედ დამყარებული, ხოლო ეკონომიურ-სოციალური მხრით სუსტზე. რუსეთში მოქმედებენ ქაოსის სტიქიური ძალები, რომლებიც ნგრევა-რღვევას იწვევენ. ქვეყნის ეკონომიურათ დაუძლურებას აღრმავებს ომი, რომელიც უკანასკნელ ძალას აცლის ქვეყანას და ომში ჩარეულ ყველა სახელმწიფოთა პოლიტიკურ შენობებს საძირკველს აცლის. რუსეთმა, რომელიც ეკონომიურათ ყველაზე მეტათ ჩამორჩენილია, პირველმა მოახდინა რევოლიუცია, იმ დროს როცა სხვა ქვეყნის მშრომელი დემოკრატია რუსეთის მოძრაობას უკან ჩამორჩა. ლენინი გრძნეულ, საზღაპრო საშუალებას გვიჩვენებს—გვირჩევს დავატუსაღოთ ფაბრიკანტების ჯგუფი. ამ სასაცილო წინადადებას სარჩულად ის უდევს, რომ აჩვენოს მთელ ქვეყანას (გამოტოვებულია) რუსეთის რევოლიუცია და მით წარმოშვას სხვა ქვეყნის რევოლიუცია. მაგრამ სხვა ქვეყნის დემოკრა-

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიამ კარგათ იცის, რომ ამას თავის ღრმა მიზეზები აქვს. თანამედროვე კაპიტალისტური განვითარება შეუსისხლხორცდა კლასობრივ ნაციონალურ სახელმწიფოს. ყოველ ქვეყნის ნაციონალური პროლეტარიატი მჭიდროთ შეკავშირებულია ნაციონალურ კაპიტალისტებთან. რამდენათ განვითარებულია ქვეყანა, იმდენათ დამოკიდებულია პროლეტარიატის პოზიცია. რამდენათ გაფურჩქვნილია წარმოება, იმდენათ მძიმეა პროლეტარიატის მდგომარეობა. რუსეთმა დიდი მაგალითი მისცა ყველას გუმბერაზულ შინაურ რევოლიუციის მოხდენით. მაგრამ მან სუსტი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების შინაურ მდგომარეობის გაუმჯობესების ნელი პროცესის დაჩქარების საქმეზე. ის გზა, რომელიც სტიქიურათ მიდის (რუსეთის რევოლიუცია?) შეიძლება დავახასიათოთ როგორც რევოლიუციის მიზნების სეპარატიული გადაწყვეტილება.“ ეს მიზნები გამოიხატებიან სხვადასხვა ფორმებში, მაგრამ ყველა ჟრიადაგოა და რევოლიუციის ძირითად მიზნის წინააღმდეგ მიდის. რომ სეპარატიული გზით გადასწყდეს აგრარული საკითხი რუსეთში, ყველა ფრონტებზე გაისმოდა ხმები: „მიწებს უკვე იყოფენ“ და ყველა გამოიქცეოდა, რომ არ დაეგვიანებია და თავის წილი მიწა არ დაეკარგა. სეპარატიული მეთოდი საჭირო შედეგებს არ მოგვცემს ნაც. საკითხის გადაჭრის დროს. თვითგამორკვევის, განცალკევების განხორციელება იქნებოდა ხალხის დიდებულ კოოპერაციის და თვითგამორკვევის უფლების შეტაკების გამომწვევი მიზეზი: დღეს ადვილათ შესაძლებელია ხალხი სეპარატიულ გზაზე გავდენოთ. ძველი კვანძები ადვილათ დასაშლელია, ხოლო ახალი კი ძნელათ შესაკვრელი. სეპარატიული გზები სახიფათოა. ლენინი ამბობს, რომ დაძმობილება ჩვეულებრივი მოვლენაა, დაძმობილება თავის თავათ, საშიში არ არის, მაგრამ როცა ამ უბრალო ჩვეულებას ომის მომსპობ პოლიტიკურ საშუალების სახეს აძლევენ ის საშიშია. ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური გაძმობილება, როცა ვეძახით ინტერნაციონალურ ყრილობაზე ყველას, ვისაც უნდა რუსეთის რევოლიუციის მოწოდებას პასუხი გასცეს. თუ ბოლშევიკებს ეშინიათ შეიდემანთან შეხვედრის, მათ ნება არ უნდა მისცენ გაუნათლებელ ჯარის კაცებს შეხვდენ არა თუ შეიდემანის თვით ვილჰელმის პირდაპირ მომხრეებს (მქუხარე ტაში). ჩვენ იმედის სხივს ვეფინებ, რომ ერთ ფრონტზე ომი შეჩერდა. ჩვენ ფრონტზე ომის შეჩერება დროებითია, გერმანია ასე იქცევა მანამდე, სანამ იმედი აქვს რუსეთთან სეპარატიულ ზავის ჩამოგდების. ჩვენ უნდა მოვუწოდოთ ყველას გავანთავისუფლოთ რევოლიუციონური პოლიტიკა დამოკიდებულების და სამხედრო ბედნიერებისგან. რუსეთის რევოლიუცია იმოქმედებს ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ იარაღით, ის მოუწოდებს შეკრბენ ინტერნაციონალურ კონგრესზე, შეიმუშაონ რევოლიუციონური მოქმედების ზომები, ამ ომის მიზნებიდან ყოველივე იმპერიალისტურ მისწრაფების განსადევნათ. რუსეთმა უნდა მოითხოვოს ხელშეკრულებების გადასინჯვა, მხოლოდ დიპლომატიურ წეს რიგის შეცვლა კი არ შეუძლია. ჩვენი ულტიმატუმი მოკავშირეთა მიმართ არაფერს არ მოგვცემს. იგინი გვიპასუხებენ: „დიდ სახელმწიფოებს ულტიმატუმით არ ელაპარაკებიანო, და მაშინ იმ ქვეყნის დემოკრატია თავის მთავრობებს გაჰყვება.“ დასასრულ ჩერნოვი უსაყვედურებს ბოლშევიკებს, რომ მათ სახიფათო თამაში დაიწყეს. რუსეთის ბედიღბალს სასწორზე სდებენ. მოუწოდებს ყველას მხარი დაუჭირონ ადგილობრივ შემოქმედ ძალებს არა მიტაცებლობით, არამედ ორგანიზაციის და უფლების გზით.

მენშევიკი ინტერნაციონალისტი **მარტოვი** (ვედერბაუმი) დროებით მთავრობას ბრალს სდებს, რომ ის ხელს უწყობდა საბერძნეთის კონსტიტუციის დარღვევას და განზრახვა აქვს თავის დადგენილებების დარღვევისთვის სამი წლით ციხეში ჩასვას. ის ბრალს სდებს მთავრობას, რომ არ აჩქარებს კონფერენციის მოწვევას ხელშეკრულობების გადასასინჯათ. მარტოვის აზრით კონფერენცია არას დროს არ შესდგება, რადგან თვით მთავრობა ქმნის მის მოწვევის წინააღმდეგ მიზეზებს. დასასრულ ორატორი უსაყვედურებს ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლას და რევოლიუციის წინსვლის შესუსტებას.

მარტოვის წინააღმდეგ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი წერეთელი ამბობს: „მარტოვის მიერ მოყვანილი ფაქტები ყალბია“. რუსეთმა იმ თავიდანვე როცა საბერძნეთში შეჭრის განზრახვა დაიბადა, პროტესტი განაცხადა ამის შესახებ. და ამ დღეებში დეკლარაცია გამოცხადდება, რომელითაც რუსეთი პროტესტს აცხადებს საბერძნეთის კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ. ყალბია აგრეთვე ცნობა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელსაც იმუშავებს იუსტიციის მინისტრი, არ შეიძლება მთავრობა დამნაშავეს სკამზე დავსვათ გაზეთების ცნობებით. ჩვენ პასუხს ვაგებთ მხოლოდ იმის შესახებ, რასაც ვაკეთებთ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ საფრანგეთის დიდებულ რევოლიუციას, ვღებულობთ მას, რაც სარგებლობას მოგვიტანს და ყოველივე შეცთომებს გვერდს ვუხვევთ. ჩვენ არ გვინდა, როგორც საფრანგეთის რევოლიუციამ იარაღით ხელში განვახორციელოთ ჩვენი იდეები. რუსეთის რევოლიუცია საფრანგეთის რევოლიუციის სწორი ნაბიჯების მემკვიდრეა და არა მისი შეცთომების. მარტოვი დაჟინებით მოითხოვს კონფერენციის მოწვევას და ამბობს, რომ მოკავშირეებს პირდაპირ და გადაჭრით უნდა დავუყენოთ საკითხი. ჩვენ, რომ ასე მოვიქცეთ უარს მივიღებთ და იძულებული ვიქნებით კავშირი გავწყვიტოთ ამ სახელმწიფოებთან და ბოლოს მარტო ერთი დაგვრჩება სეპარატიული ზავი. ჩვენ სწორეთ ამის გვეშინია. ისეთი რევოლიუცია არსად არ მომხდარა, სადაც მიზეზი ყოფილიყოს არაფრის არ შეშინებოდენ. ამ მხრით მე ვეთანხმები ჰეინეს, რომელიც ამბობს: „სულელს არაფერი არ ეშინიაო“. დღის კრება დაიხურა.

საღამოს კრებაზე პრეზიდიუმმა რიგს გარეშე შემდეგი განაცხადა: „პრეზიდიუმმა ცნობა მიიღო, რომ ვიღაც პირებს, რომლებიც თავის თავს ანარქისტებს უწოდებენ, გაზეთ „რუს. ვოლია“ ს სტამბა ხელში ჩაიგდეს. სტამბის ახლო დიდმა ბრბომ მოიყარა თავი. და მეტათ აღელვებულია ანარქისტების მოქმედებით, სტამბის შენობაში შეტაკების თავიდან ასაცდენათ ორი როტა ჯარისკაცი შეიყვანეს. პრეზიდიუმმა განიხილა რა ეს დაადგინა წარმოუდგინოს ყრილობას შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა სასტიკათ ჰგმობს ბერეზინის სტამბის ძალათ მითვისებას, რაიცა ანარქისტათ წოდებულმა ჯგუფმა მოახდინა. წინადადებას იძლევა დაუყონებლივ გაანთავისუფლონ სახლი და სტამბა“. ჩხეიძე ატყობინებს, რომ პრეზიდიუმმა იქ გაგზავნა ორი თავის წევრი კამენევი და გოცი და აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ანისიმოვი, რომლებმაც საჭირო ზომები უნდა მიიღონ. ყრილობა რეზოლიუციას ღებულობს სამი ხმის წინააღმდეგ.

კრების დასასრულ პირად საკითხის გამო აცხადებენ, რომ სახელმწიფო დუმის წევრთა კერძო თათბირზე მილიუკოვმა განაცხადა, რომ ჟურნალისტ კოლიშკოს დატუსაღებით და გრიმმის გაძევებით მთავრობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ გერმანიის აგენტურასთან ბრძოლაში, მაგრამ არ დაატუსაღა ლენინი, ტროცკი და სხვა გერმანიის მიერ დაქირავებულნი პირნი. სანამ მილიუკოვი ამ ბრალდებას უკან არ წაიღებს მის შუბლზე უნამუსო ცილის მწამებლის დაღი იქმნება დასმული. (საერთო ტაში) დასასრულ ყრილობამ ხმის უმეტესობით უარჰყო პრეზიდიუმის წინადადება შეემოწმებია გრიმის შესახებ რეზოლიუციის ხმის მიცემის მოხდენის საქმე.

მოლაპარაკების შემდეგ ანარქისტებმა გაანთავისუფლეს სტამბა, ყუმბარების და იარაღების ჩამორთმევის შემდეგ კაზაკების თანხლებით 30 კაცი საბჭოს სადგომში მიიყვანეს.

ფურნეების ჩამორთმევა.

ნიკოლაევი. რადგან ხაზეინებმა მუშების მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს მუშ. და ჯ. კ. დეპ. საბჭომ ყველა ფურნეები ჩამოართვა ქალაქში პატრონებს და საზოგადო დაწესებულებებს გადასცა. შეაგროვეს დიდი თანხა ფურნეების საწარმოებლად.

მნათობთ მეჯლისი.

1.

მახსოვს—მწარი ღამის ფიქრი დილის ვარსკვლავს ფერს უკრთობდა,
გაშლილ ვარდის ლამაზ ფრთებზე დღის სიკვდილი ლხენით ბჟობდა.
მახსოვს იგი—ალი სევდის ფრთებს არხევდა გულის სწორზე,
სისხლის წვიმა ტალღათ სცემდა—დევნილ ქვეყნის სამსხვერპლოზე;
და დაეცა ეგ ზღვის კოშკი, და დაიმსხვრა დახტი რბევის,
არ არსებობს სისხლის წვიმა—არ არსებობს სიტყვა წყევის!.
და სიცოცხლის მოედანზე მღერის მოძმე გულ-დამტკბარი,
გამარჯვების ეტლი მოჰქრის, გამარჯვების დაჰკრას ზარი!..

2.

გაზაფხულის ფერად დროშას აფრიალებს ლხენის სიო,
ასე უმღერს გამარჯვებას:—ფრთა გაშალე, წინ გასწიო!..
და მეჯლისი ფრინველთ ქვეყნის ხმას უერთებს დიად სიტყვებს,
გაუმარჯოს მნათობთ კრებას, გაუმარჯოს დიად სხივებს!..
გაზაფხულის თეთრმა სიომ გადაევერცხლა მინდორ-ველი,
და შრომის შვილს ხმა აღმოხდა, საიმედო ნუგეშ-მთქმელი,
დედაც მღერის—კარგი დედა, წარსულ ჟამის მონა ქალი,
რომ შვილს უქებს გამარჯვებულს—დღეს სიცოცხლით გულ-გამთბარი!..

3.

ოკეანის ტალღათ მთებში მიმოსცურავს ბრძოლის გემი,
აწმყო ფიქრის მომტანი და მომავლის ხმის მიმცემი!..
და ზღვის სიტყვა ამობრწყინდა—პირველ გემის ხმა პირველი—
ჩაგრულ ქვეყნის მოსარჩლე და თვით სიკვდილის დამთრგუნველი!..
... მოიგონებს **ინგოროყვას**, თავისს გმირად მას დასახავს,
განთიადის პირველ სხივს და გაზაფხულის პირველ ვარსკვლავს!..
და **ჯიბლაძეს**—ერის გულში დაბადებულს, იქვე აღზრდილს,
რაც „აღსრულდა“ მიულოცავს—ამ ჭაღარას, ბრძოლად შექმნილს!..
ჟორდანიას სალამს უძღვნის დიად სიტყვის მზიდველ-მარადს,
შეუპოვარ მედროშეს და მებრძოლ რაზმის მედგარ ბელადს!..
რამიშვილი კვლავ ასწავლის ეგ ტრიბუნის ოქროპირი—
გამარჯვებით რო მეჯლისობს, საიმედო ხალხის შვილი!..
კარლო, კაკი, მკვეთრი სიტყვით მკვიდრ აზრების მოციქულნი,
დიად საქმეს არ ცდებიან, ძეგლს უმზადებს ხალხის გული!
სალამი და მკვიდრი ხსოვნა დიდ დროშის ქვეშ დახოცილებს,
სიცოცხლისთვის თავ-დადებულთ—თავისუფალ ქვეყნის შვილებს!..
გაშლილ ყვავილს ხელთ-ავიღებ, გაშლილ იას—რწმენის ფოთოლს,
თქვენ მოგიძღვნით, მეგობრებო, სიცოცხლისთვის დიად მებრძოლთ!..
ეგ მეჯლისი ფრინველთ ქვეყნის ხმას უერთებს დიად სიტყვებს,
გაუმარჯოს მნათობთ კრებას, გაუმარჯოს დიად სხივებს!..

გელა.

სარატოვი.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 6 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ჩვენმა რაზმებმა მდ. კიალკიტა გადალახეს და მტერს თავს დაესხნენ და აქ მტრის რაზმები გაფანტეს. ოსმალების მხრივ ბევრია დაჭრილი და დახოცილი.

ჰაეროპლანების ბრძოლა.

რიგის ყურეში მტრის ჰაეროპლანებმა ჩვენი ფლოტის ნავთსადგურებში 41 ყუმბარა ჩააგდეს, მაგრამ ზიანი არ მიუყენებიათ.

პარიზი. 5 ივნისი. ლაფოსა და პანტეონის რაიონებში საარტილერიო სროლა გაცხოველდა. შამპანში ჩვენმა ჯარმა მტრის სანგრები დაიკავა და კორნილიესა ბლონის ფერდობებში 500 მეტრით წინ წაიწიეს. გერმანიის არტილერია რეიმს ყუმბარებს უშენს, მაგრამ ქალაქს ზიანს ვერ აყენებენ.

პარიზი. 5 ივნისი. მთელ ფრონტზე დროგამოშვებითი საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 5 ივნისი. ბალკანეთში ჩვენმა და ინგლისის ჯარმა ტუმბას სადგურს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს. დანარჩენ ფრონზე სუსტი საარტილერიო სროლაა. თესალიაში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მათ წინააღმდეგობას არ უწევენ.

ლარის ოლქის მცხოვრებმა ვენიზელოსის მთავრობას ერთგულება გამოუცხადეს.

დეპეშა.

საკ. კორესპ.

ქუთაისი. 4 ივნისის სხდომაზე მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ განიხილა „კავკას. რაბოჩ.“ მოთავსებული წერილი ამ სათაურით: „მინისტრი კერენსკი“. წერილი შეიცავს მოწოდებას, რათა არ დაემორჩილონ დროებით მთავრობას და ჩვენი რევოლიუციონური ჯარის სიამაყე მინისტრ კერენსკის. ამის გამო საბჭო გამოსთქვამს თავის აღშფოთებას, პროტესტს უცხადებს გაზეთს და აფრთხილებს მას თავი შეიკავოს ასეთი დეზორგანიზაციის გამომწვევ და რევოლიუციის საწინააღმდეგო გამოსვლებისაგან.

თავმჯდომარის მაგიერი **მაჭავარიანი.**

რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ამიერ კავკასიის ყრილობა გაიხსნება 10 ივნის შაბათს. დელეგატები უნდა გამოცხადდენ თფილისის კომიტეტის ბიუროში გოლოვინის პრ. სახლი № 12.

ახალი ამბები

თფილისის სადგურზე 6 ივნისს სამწუხარო ამბავი მოხდა: ვიღაც ასლანიანცს, რომელიც ხარკოვში მიემგზავრებოდა, ვაგონში შესვლისას სადგურის დამცველმა სალდათებმა დაუჭირეს სამი ვედრო „სპირტი“. როდესაც ასლანიანცი ოქმის შესადგენლად მიჰყავდათ, მგზავრი სალდათები დაესიენ და დაუწყეს ცემა. არავითარმა ახსნამ სალდათებზე არ გასჭრა. საქმეში ჩაერივნენ რკინის გზის რამდენიმე მოსამსახურეები, რომლებიც სალდათებს ეუბნებოდნენ: ასე ნუ მოექცევითო. ასლანიანცმა რომ შეატყო საქმე ცუდათ მიდიოდა და სიკვდილი მისი აუცილებელი იყო, მოიკრიფა ძალღონე და გაიქცა. მას დაედევნენ სალდათები და დაიჭირეს ვაგზლის ქუჩაზე და დაუწყეს ცემა. ამ დროს, როგორც იყო, მოდარაჯე სალდათების უფროსმა მოახერხა და იქვე საკანცელარიოში დამალა ასლანიანცი, მაგრამ ორმა ჯარისკაცმა შეატყო ეს და რამოდენიმე ათეული სალდათით მოითხოვა დამალული ასლანიანცი, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ საკანცელარიოს დანგრევით. უკანა კარებიდან მოახერხა ასლანიანცმა გაპარვა და სადგურში მივიდა საშინლათ სახე დასახიჩრებული. მას შეუხვიეს ჭრილობები და გაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში. ასეთი ამბავი ხშირია აქ. სცემენ ჯიბგირებს და მესპირტეებს. მაგრამ არ იქნა და არ მოელო ბოლო არც ჯიბგირობას და არც აურაცხელი „სპირტის“ ზიდვას.

◆ **საოლქო არჩევნები.** საარჩევნო კომიტეტი ამ ჟამათ ამრჩეველთა სიების გადაწერაზე მუშაობს. გადაწერის შემდეგ სიებს ქალაქის 12 ალაგას გამოჰკიდებენ გადასათვალიერებლათ. ამ დღეებში სიები გამოცხადდება, შემდეგ—ხუთი დღის განმავლობაში, მიიღება ამომრჩეველთაგან განცხადებანი სიების შესწორების შესახებ. საგანგებო საარჩევნო კომისიამ ქალაქის 82 ალაგას აიჩინა შენობანი საარჩევნო კრებების გასამართავად. შესაფერ ბინებათ კომისიას მიაჩნია კლუბები, სასწავლებელთა შენობანი და სხ. შენობების შოვნა სჭირდება ქალაქის განაპირა უბნებში, სადაც საზოგადოებრივი ხასიათის შენობები ცოტაა. იქ კომისია სახლის პატრონებთან შეთანხმებით აწესრიგებს საქმეს—უკიდურეს შემთხვევაში ბინის რეკვიზიციასაც მოახდენს.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა საგამომცემლო ორგანიზაცია,** რომელიც მუშაობს თფილისის ს.-დ. კომიტეტის საგამომცემლო სექციასთან ერთად, ორშაბათს, 12 ივნისს, არტისტიულ საზოგადოების შენობაში მართავს ინტერნაციონალურ საღამოს ფართო პროგრამით. შემოსავალი გადადებულია პარტიული სტამბის შესაძენათ. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. დაწვრილებითი პროგრამა გამოცხადებული იქნება შემდეგ. იმ ამხანაგებს, ვინც იკისრებს ბილეთების წინასწარ გაყიდვას, ვთხოვთ მიმართონ გაზ. „ერთობის“ კონტორაში (გოლოვინის პრ. № 12) ამხ. ქეთო რამიშვილს დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

◆ **შოფერების კრება.** 6 ივნისს მოხდა თფილისში მომუშავე შოფერების კრება, რომელსაც დაესწრო 90 მდე კაცი. კრებამ გაარჩია მილიციის უფროსის მიერ შემუშავებული წესები ქალაქში ავტომობილებით მიმოსვლის შესახებ. კრებამ წესები დაამტკიცა, მხოლოდ ასეთი ცვლილება შეიტანა შიგ: ერთი თვის განმავლობაში წესების დამრღვევ შოფერს მილიციის უფროსი არ სჯის, არამედ—მას სასჯელს უწყვეტენ მისი ამხანაგები. ასეთი შესწორებით მილიციის უფროსმა წესები დაამტკიცა.

◆ **მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობაზე** ამიერ კავკასიის 35 მაზრის წარმომადგენელი გამოცხადდა. ყრილობაზე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოთა წარმომადგენლები. როცა კითხვა დადგა ღვინის ვაჭრობის ნებართვის შესახებ, მუშათა და ჯარის კაცთა დელეგატებმა ამის წინააღმდეგ ილაპარაკეს.

◆ **თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ.** მეორე რაიონის კრება შესდგება რეალურ სასწავლებლის შენობაში 9 ივნისს საღ. 5 ს. განსახილველი საკითხები: აგრარული საკითხი. —მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ქ. გვარჯალაძე, საოლქო ყრილობაზე დელეგატების არჩევა და მიმდინარე საკითხები.

◆ **შეერთებული კრება.** ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციების ბიუროს და თფილისის ს. დ. კომიტეტის წინადადებით დღეს, საღამოს 7 ნახ. ს. ბიუროს სადგომში (გოლოვინის პროსპ. № 12) შესდგება სოც.-დემოკრატ პროპაგანდისტების, სამხედრო კომისიის და კავკასიის ჯარის საოლქო ცენტრთან არსებული სოც.-დემოკრ. ფრაქციის შეერთებული კრება. კრება განიხილავს: ბიუროსთან პროპაგანდისტების მუდმივი კოლეგიის ორგანიზაციის შექმნა, პროპაგანდისტების სხვადასხვა რაიონებში განაწილება, საქალაქო არჩევნების დროს მუშების განაწილება, კლუბებში მუდმივი მუშაობა და გამომცემლობის საქმე. მუშათა საბჭოსთან არსებული პროპაგანდისტების კოლეგიის ბიურო სთხოვს ამხანაგებს დანიშნულ დროზე გამოცხადდენ.

◆ **აკაკი წერეთლის** სახელობის ქალაქის სამკითხველო ოლღას ქუჩაზე გაიხსნება დღეს.

◆ იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა საოლქო ს.-დ. კომიტეტის გამოცემა—„სოციალდემოკრატია და ქალაქის თვითმართველობა“.

◆ კვირას, 11 ივნისს, სახელმწიფო თეატრში დეპ. აკაკი ჩხენკელი წაიკითხავს ლექციას ქართულათ ნაციონალურ საკითხზე. დასაწყისი დღის 12 საათი.

◆ **თავისუფალი თეატრი.** ხელოსანთა კლუბში გ. ჯაბაურის და გოგაშვილის მეთაურობით დღეს წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“.

◆ **მუშათა კომისიის კრებაზე** 6 ივნისს შეთანხმება მოხდა ქალაქის გამასუფთავებელ მელიქ პოლოსოვსა და მუშებს შორის.

◆ **კავკასიის ჯარისათვის** საჭირო საგნების მიწოდების და გადატან-გადმოტანის გეგმის შესამუშავებლათ დღეს შტაბის ბინაზე მოხდება თათბირი, რომელსაც დაესწრება ჯარისთვის მიწოდების საქმის მთავარი რწმუნებული.

◆ **საქონლის ჭირი** ქუთაისის გუბერნიაში თანდათან ვრცელდება.

◆ **თფილისის ხაზალოხნო სკოლა** დაასრულეს: მ. გუგუნავამ, რ. მირიანაშვილმა, მ. სოსელიამ, ან. ქორქიამ, ვ. ნებუნიშვილმა.

კრებები და მიტინგები.

დღეს დღის 3 საათ. საგუბერნიო ციხეში არსებულ ლაზარეთში № 49—მოსამსახურეთა და დაჭრილთა კრებაა. თემა: „მომენტის შესახებ“ და „საქალაქო არჩევნები“.

— არსენალთან საღ. 6 საათ. სალდათების კრებაა.

— საღამოს 7 ნახ. საათ. ფოსტის მთავარ სადგომში ფოსტა-ტელ. მოსამსახ. კრება. თემა: „სოც.-დემ. პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი.

— შაბათს, 10 ივნისს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მეოთხე სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა კრება. თემა: „საქალაქო არჩევნები და ორგანიზაცია წვრილ საარჩევნო ნაწილებისა“.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ხაშური. ხაშურის საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 4 ივნისისათვის გადაიდო 11 ივნისისათვის. ამ დღეს იყო დანიშნული აგრეთვე ქალთა საზოგადოების „მანდილოსანი“-ს არაჩვეულებრივი კრება, ხელ-ახალი არჩევნების მოსახდენათ, მაგრამ ისიც გადაიდო სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო.

— 4 ივნისს ხაშურში მოხდა ზემო-ქართლის მესამე რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილების წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო 23 მასწავლებელი გადამწყვეტი ხმით. დღიურ წესრიგში შედიოდა: მოხსენება თფილისში მომხდარ მასწავლებელთა ყრილობის შესახებ, კავშირის წესდების გადასინჯვა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, ბინის საკითხი და სხვა.

დ. სურამი. მოქალაქეთა კრებამ მოახდინა ანკეტა და დაასახელა აღმასრულებელ კომიტეტში ასარჩევი კანდიდატები. არჩევნებისათვის ემზადებიან აგრეთვე ხაშურში და ქართლის სხვა საზოგადოებებში.

სოფ. დვაბზუ. (გურია). 26 მაისს, მატრონე დოლიძის თავმჯდომარეობით შესდგა სოფ. დვაბზუს სამკითხველოს წევრთა წლიური კრება. არჩეულ იქმნა ხელ-ახალი გამგეობა, რომელმაც ჩაიბარა ყოველივე ანგარიშები და იმ დღიდანვე შეუდგა მუშაობას. საკუთარი შენობის აგებამდე, რომლის შენება უკვე დაწყებულია. სამკითხველო მოთავსებულია სამრევლო სკოლის შენობაში.

28 მაისსავე მატრ. დოლიძის მეთაურობით გაიმართა საბავშო წარმოდგენა.

ს. ხევი. (გურია). კვირას 21 მაისს ს. ხევში, ერკეთის საზოგადოებაში მოხდა სოფლის მამა-კაცთა და დედა-კაცთა შეერთებული კრება. ამოირჩიეს ქალთა კომისია.

— კვირას, 28 მაისს სკოლის დარბაზში გაიმართა ხევის სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ირინეს ბედნიერება“ და 1 მოქ. ედებიანი კომედია: „შაქარი ჭიათურაში“.

კავკასიის ქალაქთა კავშირის თანამშრომელთა დელეგატების ყრილობა.

მეთექვსმეტე დღეა, რაც ეს ყრილობა დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთი თვალსაჩინო კითხვა არ გაურჩევია. ის მეტად სუსტი და უსაქმური გამოდგა. ყრილობის პროგრამაში არ შედიოდა არც ერთი თანამედროვე სერიოზული საკითხი მარტო თავის საკუთარ შინაურ საქმეებს მოანდომა მან ამდენი დრო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარტო ერთ კითხვას: მთავრობასთან დამოკიდებულებას, რომელიც ერთ სხდომაზე უკამათოთ მიიღეს სოციალ-რევოლიუციონურების ფორმულით და მენშევიკების შესწორებით.

პირველი დღის ფრაქციული დაყოფა, სადაც ბოლშევიკების უმრავლესობა აღმოჩნდა, მხოლოდ ფუხა-ფუხათ გამოდგა და თანდათანობით ისე გაითქვიფა. ასე, რომ დღეს ეს დაყოფა იმდენათ აღარ ემჩნევა ყრილობაზე. ყრილობა იმდენათ არა სერიოზული გამოდგა, რომ, გეგონებოდათ აქ გასართობისთვის მოსულან და არა საქმისთვისაო. ის ვიღაც ხვალისის სათამაშო საგნათ გადაიქცა და ვერც სიაზმა და ვერც მისმა პრეზიდიუმმა ვერ შესძლო მისი თავის დროზე აღაგმვა, არ ყოფილა არც ერთი სხდომა, რომ მისი გამოსვლა საერთო აღშფოთებას არ იწვევდეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ბოლშევიკთა ფრაქ-

ციაში შედის და მის დადგენილებებს ფრაქციულ კრებაზე ხმას აძლევს და ემორჩილება, როცა ატყობს, რომ მის გამოსვლით უკმაყოფილონი არიან ის ხელით აცხადებს, რომ გამოდის საკუთარი აზრით.

ისეთი კრება, როგორიც იყო ჯერ მგონია არავის ახსოვს, ლაპარაკობს ხვალისი. მას რამდენჯერ, სიტყვას აწყვეტინებენ, რადგან ის იმუქრება, დიდი აურზაურის შემდეგ, როცა დელეგატები ნაწილ-ნაწილათ კრებას სტოვებენ, მას აჩერებენ. ის კვლავ იმუქრება, რომ წავა ფრონტზე და იქიდან შეეცდება, რომ სალდათების დახმარებით წალეკოს პირისაგან მიწისა ქალაქთა კავშირი. აქეთ იქიდან გაისმის ხმები: „პროვოკატორი“, გააძევეთ აქედან. საერთო აურზაურია. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის უარს ამბობს თავმჯდომარეობაზე, მასთან უარს აცხადებს მთელი პრეზიდიუმი. თავმჯდომარის ალაგს დროებით იჭერს ი. გოგოლაშვილი.

ის დიდი ვაივაგლახით ამშვიდებს კრებას, მოუწოდებს ნდობა გამოუცხადონ პრეზიდიუმს. კრების უმრავლესობის ტაშის ცემით პრეზიდიუმი იჭერს თავის ალაგს. კამათი გრძელდება. ხვალისი კვლავ სიტყვას თხოულობს, მაგრამ მას არ აძლევენ. გეგონა ინციდენტი ამით დამთავრდა, მაგრამ საღამოს კრებაზე კინაღამ ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. კრების გახსნისას ხვალისი არ მოსულა და წესიერათ მიმდინარეობდა. სწორედ კრების გათავების დროს შემოდის ხვალისი, მას შემოჰყვა 15 სალდათი, არა დელეგატები. ის ერევა ლაპარაკში იმ დროს, როცა კამათია საჩუქრის მოსპობის შესახებ, რომელსაც ზოგი შეურაცხმყოფელ ჩვეულებათ თვლის და მის მოსპობას თხოულობს. ხვალისი მის დატოვებას მოითხოვს და სალდათების ყურადღებას იპყრობს. კამათი შეწყდა. კამათის შეწყვეტის შემდეგ სიტყვას თხოულობს სალდათი კაკალიოვი, თავმჯდომარე უპასუხებს რომ, რადგან კამათი შეწყდა ის სიტყვას ვეღარავის მისცემს. სალდათი ძალით თხოულობს სიტყვას და მუქარით მიმართავს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე უპასუხებს, რომ ის თუ ასე მოიქცევა გააძევებს კრებიდან. სალდათი უპასუხებს რომ ის თვითონ გააძევებს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე უარს აცხადებს თავის მოვალეობაზე და კრებას სტოვებს. სალდათებში აურზაური და მუქარაა. ხვალისი კმაყოფილი იღიმება. პრეზიდიუმი გადადგა. პრეზიდიუმის კრება დაინიშნა 6 ივნისისთვის, სადაც უნდა მოიწვიონ აღმასრულებელი კომიტეტი ინციდენტის გამოსარკვევათ და ხვალისის მოქმედების დასაფასებლათ.

ვლ. ეხიკაიშვილი.

პროლეტარის შენიშვნები.

Изъ „Кавк. раб.“ (67)

„Больш. собраніе постановило: разорвать съ меньшев. организаціей стоящей на точкѣ зрѣнія рев-го оборончества, отозвать оттуда всѣхъ нашихъ единомышленниковъ — большевиковъ и создать отдѣльную с.-д-ую орган-ю на точкѣ зрѣнія революціонной с.-д-тій.“

Т. Ком. Бол..

ამგვარათ მუდმივ რყევას ბოლო მოეღო და ლენინელებმა რასკოლი ოფიციალურათ გამოაცხადეს. როცა ყოველი წამი ძვირფასია პროლეტარიატისათვის, მთელი დემოკრატიისათვის, როცა საჭიროა დაფიქრებული, მიზან შეწონილი გაერთიანებული მოქმედება, როცა დღეს წყდება არაჩვეულებრივი ისტორიული საკითხები და როცა რუსეთის რევოლიუციას მოელის საფრთხე გარედან (გერმანიის თვითმპ.) და შიგნიდან (კონ.-რევ.), აი ამ დროს პარტიის გათიშვას ელტვიან, ნაცვლათ საერთო მტერისა შიგნით ბრძოლას აჩაღებენ, დეზორგანიზაციას ახდენენ, მტრებს გზას აძლევენ რევანშისათვის და ამ მხრით ნებით თუ უნებლიეთ ღალატს სჩადიან მუშათა კლასის და ისტორიის წინაშე. იდეური დავა, აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ კითხვის შესახებ, განა ეს არის საბუთი პარტიისგან გაქცევის? განა ასე მოიქცევა საქმით დაინტერესებული წრე ან ჯგუფი?!. და ისიც დღეს?.. გასაცვიფრებელია და საეჭვო მოვლენაა!.. დღეს რთული და საბედისწერო გზებია გასავლელი. დღეს ახალი ცხოვრების შენებისთვის საქმიანობაა საჭირო. აშენება ძნელია, დანგრევა ადვილია. ის, ვინც იბრძვის ერთის დანგრევისათვის, უნდა აშენებდეს ახალს. 1905 წელში რუსეთის მოძრაობა იმიტომ დამარცხდა, რომ მუშათა კლასი ბრძოლის ველზე განმარტოებული დარჩა, დღესაც ეს აჩრდილი თან დასდევს რუსეთის რევოლიუციას და ამას ხელს უწყობს ევროპის ომიც.

ასეთ დროს ლენინელთა გაქცევა მე მაფიქრებს. მებადება კითხვა. განზრახ ჩადიან, თუ მართლაც ასე ზერელე უცქერიან რუსეთის მდგომარეობას?

ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკზე გაჰკივიან. ეს შეცდომაა. მე არ შემხვედრია ისეთი დრო, რომ ჩვენთვის ვინმეს ეთქვას, ან დაეწეროს მილიუკოვთან ერთათ ვიაროთ, ან ერთი მიზანი გვაქვსო. ჩვენ შევისწავლეთ: **საერთო მტერზე თავდასხმა ერთათ და ჩვენი გზით სიარული.** ეს სწორი ტაქტიკაა, რომელიც დაამტკიცა რუსეთის რევოლიუციამ. იცის ჩვენმა ლენინელებმა აგრეთვე ომის საკითხში, თუ რა პოზიცია დაიჭირა კავკასიის ხელმძღვანელ ორგანიზაციამ, რომელსაც გაყვა მუშებთან ერთად მოწინავე დემოკრატია და დღეს კი კრებებზე აგიტაციას ეწევიან, იმპერიალისტებათ ნათლავენ ყველას და ასე სახელს უტეხენ მოწინავე ხელმძღვანელებს. მათმა საქციელმა ამ ბოლო დროს მოლოდინს გადააჭარბა და თავისებური ანარქია გამოიწვია. ლენინიზმი თფილისშიაც შემოიჭრა და ის საფრთხეს ამზადებს.

დღეს, როცა დიდი და პატარა შრომობს, ემსახურება მომავლის კეთილდღეობას და თავისი წვლილი შეაქვს ახალის შექმნაში, ირაზმება მუშები, იქმნება ახალი ცხოვრება, ამ დროს თავს გვესხმიან და ამას ჩადიან სოციალიზმის სახელით. ეს აშკარა ღალატია მუშათა საქმისა, ამას სჩადიან ის პირები, რომელნიც სოციალდემოკრატიულ სამოსელში ეხვევიან. ნუ თუ არ შეეკითხებიან თავს, რას ჩადიან? ან საით მიდიან? მათი ამ გზით სიარული სახიფათოა რევოლიუციისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასისათვის. ეს კონტრ-რევოლიუციის წისქვილის აბრუნებაა. ეს ანარხიზმია და არა ს. დემოკრატიზმი. ეს ჩვენი მუშების შეკავშირება კი არ არის, ჩვენში არევ-დარევის შემოტანაა.

ჩვენ, მუშებს გვმართებს ამ მოვლენს სერიოზული ანგარიში გაუწიოთ და ბრძოლა გამოუცხადოთ მათ, ვინც ანგრევს ჩვენს ორგანიზაციას. შემოკრბით ორგანიზაციის გარშემო და დაგმეთ რასკოლი და მისი მეთაურები.

თ--ლი მუშა.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

ქ. აზრუმი. (სათათრეთი).

ერთ თვეზე მეტია, რაც ქ. აზრუმში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია. სულ პირველათ პარტიას სამი კაცი უდგა სათავეში; ისინი გამუდმებით დარბოდნენ აზრუმის ქუჩებში და პარტიის წევრებს ეძებდნენ. არც გასაკვირალია ეს მოვლენა, რადგანაც აქ ყველა ჩამოსულები არიან (თუ თათრებს არ მივიღებთ მხედველობაში) და ერთმანეთს არ იცნობდნენ. მაგრამ მათმა ენერგიამ იმდენი ნაყოფი გამოიღო, რომ დღეს პარტიას ექვსასზე მეტი წევრი ყავს. ადგილობრივ კომიტეტში ითვლება 18 წევრი. კომიტეტი დიდ ენერგიას იჩენს, არც ერთი წუთითაც არ ივიწყებს საერთაშორისო პროლეტარიატის იდეალებს. მან გამოუშვა სამაისო ფურცლები, დარაზმა თავისი წევრები და შეერთებული მიტინგი მოაწყო. აგრეთვე აქ იდღესასწაულეს მუშათა პრესის დღე. საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს აქაური ორგანიზაციის მოქმედებას და ანგარიშს უწევს მას.

კომიტეტმა დაარსა სოც.-დემ. კლუბი. კლუბისთვის კომიტეტმა გამოიწერა, როგორც ყველა სოც.-დემ., ისე სოციალისტური და პროგრესიული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები. კომიტეტთან დაარსდა ს.-დ. პროპაგანდისტების კოლეგია, რომელიც მიზნათ ისახავს სოც.-დემ. იდეების გავრცელებას. კოლეგია უკვე შეუდგა მუშაობას. მთელ აზრუმის გარნიზონში ის აწყობს ლექციებს. საზოგადოება აღტაცებით ეგებება ასეთ ლექციებს. კოლეგია ფიქრობს თავისი მოქმედება გააფართოვოს და აზრუმის გარნიზონით არ დაკმაყოფილდეს.

ვ. ფერაძე.

ერევანი

30 მაისს, მოხდა რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ გ. გოგუაძე.

კრებამ იქონია მსჯელობა შემდეგ კითხვებზე: 1. ადგილობრივი ენის მცოდნე ლექტორების მოწვევა, 2. ბიუროსათვის ბინა, 3. პარტიული პროპაგანდისტთა კურსების მოწყობა, 4. კორესპოდენტების არჩევა, 5. მუშების ორგანიზაციების მოწყობა. აგრეთვე ამხანაგ გოგუაძემ დაგვპირდა ბინის შოვნა და კურსებზე ხელმძღვანელობა. კურსებზე ჩაეწერენ თავისუფალი დროის მქონე ხუთი კაცი. რკინის გზის მუშების ორგანიზაციის მოწყობა მიანდვეს გოგუაძეს. აქ ლექციებს წაიკითხვენ ქართულ სომხურ ენაზე. ასე რომ პარტიული მუშაობა აქ ახლახან ეწყობა.

ხმა.

ახმეტა. (თ. მაზ.).

პარტიის წევრთა ჩაწერა გრძელდება. კრებები იმართება. ხალხის სიმპატია ს. დემოკრატიის მხარეზეა. განზრახვაა ახლო მომავალში დაარსონ ს. დ. კლუბი. გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები, მოაწყონ ლექციები პროგრამის შესახებ და სხ. საწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ მომუშავე ძალები არ არიან, რაიც ხელს უშლის მოძრაობის განვითარებას. წყურვილი ხალხში დიდია და გაიძახიან; —ამხანაგები როდის მოვლენო.

მ.უ.

რევოლიუცია პროვინციაში.

ქ. ოზურგეთი. მუშათა შეერთებას გურიაში მტკიცე საფუძველი ედება.

28 მაისს ქ. ოზურგეთში ამხ. ვლ. გიორგაძის თავმჯდომარეობით და ვლ. თოხაძის მდივნობით შესდგა დამფუძნებელი კრება ქ. ოზურგეთის და მისი რაიონის მუშათა ასოციაციის.

ეს უკანასკნელი თავის მიზნათ ისახავს ყველა მუშათა შეერთებ შეკავშირებას, მათი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობას, კლასობრივი შეგნების გაღრმავებას. ასოციაციის წესდების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვარლ. კალანდარიშვილი. კამათის შემდეგ, კრება, დიდი ხმის უმეტესობით, იწონებს და იღებს წამოყენებულ წესდებას ერთი მუხლის შესწორებით და ერთი ახალ მუხლის დამატებით.

დასასრულ კრება ირჩევს გამგეობას: ლ. ჩავლეიშვილი, ივტ. თალაკვაძე, სეს. დოლიძე, ქ. შავიშვილი, ხალ. მიქატაძე, მ. ჩხაიძე, ბიკ. როყუა, ნ. სალუქვაძე, ბ. ხელაძე. ის. გირკელიძე, ქ. უჯმაჯურიძე, ილ. თოხაძე, ქ. ქინქლაძე. კანდიდატებათ: ესოფ გორგოშიძე, ალ. მდინარაძე, ნ. ბერსენაძე, ერასტი ღლონტი, ვალიკო ცეცხლაძე. სარევიზიო კომისიაში: ვ. ღლონტი, მ. მახარაძე. ვარ. კალანდარიშვილი. კანდიდატებათ: სამ. ქინქლაძე, კეკ. წულაძე.

ვლ. თოხაძე.

მურღულის რაიონი. 28 მაისს მურღულის ქარხნის მუშების დავალებით, მიხაკო ჭანტურიშვილმა და დავით ნაკაშიძემ მოიწვია მურღულის რაიონის მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები. მათ მიესალმენ მურღულის მუშები და წითელი დროშით და მარსელიოზის სიმღერით წავიდნენ ქარხნის მეპატრონეთა კლუბში, რომელიც ეხლა მუშებს დაუთმეს.

თავმჯდომარეთ აირჩიეს მიხაკო ჭანტურიშვილი. მან ქართველ მაჰმადიანებს გააცნო დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა ქართველ მაჰმადიანებს შეერთებოდნენ რუსეთის მუშებს, გლეხებს და ჯარს და მონაწილეობა მიიღონ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

შემდეგ ილაპარაკა დავით ნაკაშიძემ. დასასრულ მ. ჭ. გადასცა მაჰმადიანებს, რომ თავისუფლებით . ბოროტათ არ ისარგებლონ, ქურდობა, კაცის-კვლა, ქალის მოტაცება და მექთამეობა არავის ეპატიება და ისინი ეხლა უფრო მკაცრათ დაისჯებიან ვიდრე ძველი მთავრობის ხელში. ამის შემდეგ მურღულის რაიონის კომისარმა იმნაძემ მიმართა ქართველ მაჰმადიანებს და უთხრა აერჩიათ რამდენიმე კაცი, რომლებსაც სახელით დაერქმევა გლეხთა საბჭო. აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის წევრების და მილიციონერების არჩევაც უთხრა და აუხსნა მათი მოვალეობა, ქართ. მაჰმადიანებმა ითხოვეს არჩევნების მომავალ კვირისთვის გადადება—ამას იმითი ასაბუთებდენ, რომ მაშინ არც ერთი კაცი არ გვიკლდება და არჩევნებიც უფრო კანონიერი იქნებოდა, ადგილობრივი მუშებიც ამ მოსაზრებას დაეთანხმნენ და არჩევნებიც მომავალ კვირისთვის გადადო.

შემდეგ მურღულის ქარხნის მუშებს შორის მოხდა ახალი მუშათა საბჭოს არჩევნები და აღმასრულებელ კომიტეტის წევრების არჩევა. არჩევნებში საუკეთესო პირები გავიდნენ.

ოფონიეშვილი.

ახმეტა. (თიანეთის მაზრა). 21 მაისს, მოხდა მოწინავე გლეხთა კრება ვ. კილაძის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარის საქციელი და დაადგინა, რომ მისი მოქმედება ზოგიერთ შემთხვევებში არ არის გლეხკაცობის ინტერესების გამომხატველიო. შემდეგ ამისა კრებამ გამოსთქვა სურვილი კომიტეტში ცვლილების შეტანისა, და სთხოვა თფილისის საგ. სასოფლო კომ—ტს დახმარება.

— ხალხმა ახმეტაში აირჩია დამატებით 6 მილიციონერი, აგრეთვე მომრიგებელ კამერაში გასაგზავნათ ალ. გაგნაშვილი.

მ. უ.

დ. ანაკლია. 24 მაისს, აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: გახსნას დ. ანაკლიაში წიგნთ-საცავ-სამკითხველო რევოლიუციის გმირის კარლო ჩხეიძის სახელობაზე, დროებით მართვა-გამგეობა დაევალოს 1915 წელში დამაარსებელთ კრებაზე არჩეულ გამგეობას. თანახმათ ზემო აღნიშნული დადგენილებისა გამგეობამ 25 მაისს გამოიწერა: „ერთობა“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „ვოზრაჟდენიე“, „ბორბა“, „თეატრი და ცხოვრება“ და „ეშმაკის მათრახი“.

27 მაისს გამგეობის მიერ მოწვეული იქნა სამკითხველოს დამაარსებელი წევრთა კრება წლიური ანგარიშის განსახილველათ და სხვა მორიგი კითხვების გასარჩევად. ანგარიშები კრებამ დაამტკიცა და დატოვა ძველი გამგეობის წევრები: ბ. მგელაძე, ფ. სალია, ა. ლეჟავა, დ. აფაქიძის ასული და ნ. გეგენავა, სარევიზიო კომისიაში აირჩია ს. ჟურჟენაძე და ა. შერაია, აგრეთვე დააწესა საწევრო გადასახადი ორიოდე მან. წლიურად.

ნოე გეგენავა.

რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის კრება.

1 ივნის მოახდინა კრება 31 მაისს რაჭა-ლეჩხუმელთა კრებაზე არჩეულმა კომიტეტმა. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) სახელწოდება კომიტეტისა, 2) სახსარი კომიტეტისა, 3) მოქმედება, 4) კრების დრო, 5) არჩევნები პრეზიდიუმის, ხაზინადრის და მდივნისა.

კრებას დაესწრო ც მეტი წევრი კომიტეტისა კომიტეტს ეწოდა სახელი „რაჭა ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი“. რადგან კომიტეტი არის არჩეული თფილისში მყოფ რაჭა-ლეჩხუმელ დემოკრატიულ მცხოვრებთაგან და მისი შემადგენლობა წმინდა სოციალ-დემოკრატიული გამოდგა, ამიტომ კომიტეტი წარმოებს მომავალში თავის სახელს და შემადგენლობის შესაფერ ტაქტიკას.

სახსარს კომიტეტი იჩენს: სხვადასხვა შემოწირულებით, ფურცლების საშუალებით, ლექციების და წარმოდგენების გამართვით სხვადასხვა ქალაქებში, სადაც რაჭა-ლეჩხუმელები იმყოფებიან, იქ აგრეთვე ორგანოების დაარსებით და სხვა.

გადაწყდა მოწოდების გამოშვება; ბინა ჯერჯერობით თფილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამ—ბის კანტორასთან, ვერის დაღმართი სახლი № 21. მორიგი კრებები მოხდება ორშაფათობით 6 საათზე.

ამის შემდეგ არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. კომიტეტის თავმჯდომარეთ ზაქარია ბიჭიშვილი, მის ამხანაგათ ის. ქარსელიძე (ლეჩხუმელი), მდივნათ მიხა გურგენიძე. თავმჯდომარის ამხანაგის თანაშემწეთ ქ. ბაქრაძე, მდივნის თანაშემწეთ კ. ოაშვილი.

ხაზინადრათ არჩეულ იქნა დავით კერესელიძე, რომელსაც გადაეცა პირველი ფონდი 151 მ. მოგროვილი ამხანაგებთა შორის.

მ. ხიდისკურელი.

მოწოდება.

ხელზე მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის ამხანაგებს. ამხანაგებო! ამ მოკლე დროში დაიწყება ქალაქ თფილისის არჩევნები. თქვენ კარგათ იცით ამხანაგებო თუ რა ნაირათ იცავდენ დემოკრატიის ინტერესებს ერთი მუჭა ვაჭრების მიერ არჩეული ქალაქის მამები. დემოკრატიას არ შეეძლო ქალაქის თვითმართველობაში შესულიყო და თავის პროგრამაზედ მოელაპარაკნა. მუდამ დევნილმა დემოკრატიამ დღეს უნდა აამაღლოს ხმა და საუკუნოთ გამოაძევოს გაბატონებული კლასები ძველ ადგილებს. თქვენი ამხანაგებო, ხელზე მოსამსახურეების რიცხვი ორივე სქესისა თფილისში 15 ათასს აღემატება. თითქმის ყველა მდიდარ ოჯახში მსახურობს ორი და სამი პირი, რომლის ხმა უნდა შეუერთდეს რუსეთის პროლეტარიატს და მუშათა კლასის ხმას. ამ შეერთებული ძალით გაბატონებული კლასების მოქმედებას მოუღებთ ბოლოს.

ამხანაგებო თქვენი ხმა დიდ როლს ითამაშებს ამ არჩევნებში და ბოლოს მოუღებს ათაბეგოვებს, ვესელოვზოროვებს და ჯაბარებს.

გ გუბელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

სოხუმი. მუშათა პრესის დღეს, მუშათა დეპუტატების ინიციატივით შეგროვდა სოხუმში 1400 მ. მუშათა პრესის სასარგებლოთ. აქედან 300 მ. ვგზავნით პეტროგრადში „რაბ. გაზ.“ რედაქციისათვის, 1100 მ. კი გიგზავნით თქვენ შემდეგი წინადადებით: 100 მან. გადაეცეს გაზ. „კავკ. რაბ.“, 1000 მ. კი თანასწორად განაწილდეს „ბორბა“-ს, „ერთობას“ და „ფიქრს“.

ამხ. სალამით **სევ. რამიშვილი.**

ხოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა). 30 მაისს თფილისის სამასწავლებლო მოწაფეთა და ადგილობრივ გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ინიციატივით აქ გაიმართა წარმოდგენა თფ. მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს სასარგებლოთ. წმინდა შემოსავალი წარმოდგენიდან დარჩა ას სამოცდა ოთხი მ. და ცამეტი შაური. აღნიშნულ თანხას გიგზავნით დანიშნულებისამებრ გადასაცემათ.

ადგილობრივ გლეხთა საბჭოს თავმჯდომარე **ვანო თონოფრიშვილი.**

გიგზავნით სამ მანეთს „ერთობის“ ფონდისთვის.

ჯ. ქ. მელიქიან ალექსის ძე სტურუა.

თფილისის მოვაჭრეებმა [illegible] ჩვენი წვლილი გაზეთ „ერთობის“ ფონდს [illegible], პეტროგრადის რევოლიუციის დროს დაღუპულ ოჯახების, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს სასარგებლოთ. სულ 128 მან. განაწილებულ იქნა: „ერთობას“ 28 მ., პეტროგრადში რევოლიუციის დროს დაღუპულთა ოჯახებს სასარგებლოთ 40 მან., ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს სასარგებლოთ 60 მ.

ამხანაგების მონდობილობით **ვარლამ არჩილის ძე თოფურიძე, გიორგი შიოს ძე ალიბარაშვილი.**

ხონი. თანახმად ხონის რაიონულ კოლექტივის დადგენილებისა, გიგზავნით ორმოც მანეთს მუშათა პრესის დღეს შეგროვილ ფულიდან.

[illegible] 34 მანეთს ამხანაგთ შორის შეგროვილი გაზეთ „ერთობის“ ფონდის სასარგებლოდ.

ამხ. მონდობილობით **ილარიონ მელია.**

ხ. სარფი (ლანჩხუთის რაიონი). გიგზავნით გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის თერთმეტ მანეთს [illegible].

ამხ. მონდობილობით: **ექვთიმე ვაშაკიძე.**

ფოთი. ამხ. რედაქტორო გიგზავნი ხუთ მ. გაზეთ „ერთობისთვის“.

ფოთის პორტის მუშა **ირაკლი ანთიძე.**

აკაკის ფონდისათვის ტყემლოვანის საკრედ ამხანაგობიდან 10 მანეთი.

ჭიათურა. ჩვენ ჭიათურის მილიციონერები რიცხვით 15 კაცი 22 აპრილის აღსანიშნავათ გიგზავნით 25 მ. 65 კ, რათა იარსებოს მუშათა სასიქადულო და მებაირახტრე გაზეთ „ერთობამ“.

ამხ. მონდობილობით **დომენტი კუტალაძე.**

ქვაქვეი. გიგზავნით „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ 11 მანეთს და 10 კ. პატივისც. **დ. თ. გზირიშვილი.**

სათლქო კომიტეტის სტამბის ფონდისათვის გიგზავნით 15 მანეთს. სარდიონ ჰელიძე, ლავრენტი დვალი და ვასილ ბეშკენაძე.

ჩვენ 25 კავკ. მსროლელი პოლკის 11 როტის აკოპეში მყოფი ქართველი მეომრები გიგზავნით ჩვენ მიერ შეგროვილ მცირედ წვლილს 33 მან. რომელსაც განაწილებთ შემდეგ ნაირათ: გამოგვიწერეთ სამი თვით გაზეთი „ერთობა“; სამი თვით გაზეთი „ფაიქარი“, და სამი თვით „ეშმაკის მათრახი“, დანარჩენი ფული კი გადაეცით, პეტროგრადში, დაღუპულ ამხანაგების ცოლ-შვილთ.

ამხანაგების მონდობილობით ჯ-კაცი **ამბროსი დიმიტრის ძე გავაშელაშვილი.**

მეხუთე გორნის ბატარეის მოსამსახურე სალდათებმა შევაგროვეთ 12 მან. და 75 კ. მუშა ხალხის ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

დ. ლოლაბერიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

დ. ხაშურში არსებობს მარქსის მიმდევარ ქალთა წრე. 30 მაისს შევიკრიბეთ პარტიის წევრები პარტიულ საქმის განსახილველად, მაგრამ წრის თავმჯდომარემ თამარა ლონდაძისამ პარტიის საკითხს გვერდი აუქცია და სიტყვით საზიზღარი შეურაცხყოფა მომაყენა ამასთან წრიდან გაგდებას მიპირებდა.

ვინაიდან არ დამიმსახურებია ასეთი შეურაცხყოფა და რადგან მე ჩემ თავს ვრაცხ მართლად, ვ წვევ ჩვენი წრის თავმჯდომარე თ. ლონდაძეს ერთი კვირის შემდეგ დღიდან ამ წერილის გაზეთში დაბეჭდვისა, სამედიატორო სასამართლოში და სასამართლოს განაჩენი გაზეთში გამოცხადებულ იქნას. მედიატორებათ ვთანხმდები იქნას დანიშნული ის ვინც თვით თავმჯდომარე დანიშნავს.

დარია ბებიევიხა.

მადლობას უცხადებ ამხ. ირაკლი მგელაძეს და ესე მგელაძეს. პირველმა სალდათების სასარგებლოთ შეკრიბა ს. გაგურში 55 მ. და 35 კ. ჭანეთში 83 მ. და 85 კ., ზომლეთში 30 მ. და 55 კ., ქვედა აკეთში 24 მ. სულ 193 მ. 55 კ., მეორემ ზემო აკეთში 28 მ. 25 კაპ., აგრეთვე ყველა იმათ, ვინც თავიანთ წვლილი გაიღეს. ეს ფულები გადაეცა ქუთაისში მუშა და სალდათების დეპუტატთა საბჭოს.

ლანჩხუთის სარაიონო აღმასრ. კომიტეტის წევრი და მდივანი **კალე ჟღენტი.**

ქალაქ პეტროვსკში გარდაცვლილის და ს. ექადიაში მოსვენებულ სილოვან სპირიდონის ძის კონტრიძის ხსოვნის აღსანიშნავად მისმა ძმებმა ნაცვლად ქელეხისა, ექადიის სკოლას შემოსწირეს ასი მანეთი, რისთვისაც მადლობას უძღვნის შემომწირველთ ექადიის საზოგადოება.

სოფლის დავალებით და მონდობილობით ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ევ. სალუქვაძე და მზრუნველი ანდრი მხატვარი.

ანაკლიის კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, რომლებმაც კეთილი ინებეს და ერთდროულად შემოსწირეს ხსენებულ ორგანიზაციის თავისით წვლილი.

მონდობილობით მდივანი **ნოე გეგენავა.**

ჩვენი ფოსტა.

დათიკო კორძაძეს. სიები არ იბეჭდება. საზოგადოთ რედაქცია სთხოვს ყველას სიებს ნუ გზავნიან, რადგან შემომწირველთა სახელს და გვარს ვერ ვაცხადებთ უადგილობის გამო.

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ხოხობაძე.**

[illegible]

„განათლება“-ში

[illegible]

[illegible] „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, [illegible]

[illegible] ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. [illegible] ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1.